№ 147 | 1877—1899 | № 147

სამშაბათი, 13 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

სამშაბათი, 13 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

**საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები**

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდაჲოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—29)

**ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

1—15 ენკენისთვემდე გამართავს **გამოსაცდელ წარმოდგენებს** იმათთვის, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მოღვაწეობა, ამისათვის საზ. გამგეობა სთხოვს მათ განაცხადონ თავისი სურვილი 1 ენკენისთვემდე. შემდეგ გამოცდისა გამგეობა მოწონებულთ მოიწვევს თავის დასში დამდეგის სეზონისათვის. (5—2)

ქართულმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ **რეპერტუარის განსაახლებლად** დანიშნა პიესებისათვის

**სამი პრემია:** 120, 80 და 50 მანეთი

ხოლო გადმოკეთებულ პიესებისათვის 50, 30 და 20 მან.

ამისათვის მოიწვევს ქართველ მწერლებს წარმოადგინონ თავიანთი დრამატიული ნაწარმოებნი, რომლებიც განხილული იქმნებიან გამგეობისა და მის მიერ მოწვეულის პირების თანადასწრებით და საუკეთესო პიესებს დაენიშნება ღირსების დაგვარად ზემოხსენებული პრემია.

პიესები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე არა უგვიანეს 15 ენკენისთვემდე და ავტორებისაგან ხელმოუწერელნი უნდა იყვნენ, ხოლო ახელი და გვარი ცალკე დაბეჭდილს კონვერტში უნდა იყოს მოხსენებული და ეს კონვერტი პიესასთან ერთად წარმოდგენილი. (6—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასაანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა: კორნეტი თავადი მხეიძე—სენაკის მაზრის მე-II განყოფილების მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გვამის პეტერბურგში წასვენების დროს სამგლოვიარო მატარებელს ბათუმში დახვდნენ, სხვათა შორის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე, ქუთაისის გუბერნატორი, გენერლობა, პრინცესა მიურატი, შემდეგ ქალების დეპუტაციები თავიანთის გვირგვინებით: ქუთაისისა, ფოთისა, ოზურგეთისა, ქობულეთისა, ჩურუკ-სუსი; იყვნენ დეპუტაციები აგრეთვე მაჰმადიანთა, ფრანგთა, ავსტრიელთა, გერმანელთა და ებრაელთა ახალშენებიდგან.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამს დონის როსტოვამდე მიაცილებს და იქიდგან ესსენტუკში დაბრუნდება.

*** აბასთუმანში იმ ადგილას, სადაც მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ ღვთივ განისვენა, დროებით აგეს ხის ნიში.

*** ბეჭვდითი სიტყვის მთავარ-სამმართველომ ნება დართო რუსეთის საიმპერატოროთ საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას გამოსცეს თვიური ჟურნალი შემდეგის სათაურით: „Вѣстникъ практическаго садоводства на Кавказѣ“.

*** მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ნება დართო რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას გამართოს სოხუმსა, ქუთაისსა, ბაქოსა და სტავროპოლში ბაღოსნობის, მევენახეობის და მებოსტნეობის ლექციების კითხვა.

*** გუშინ წინ, 11 ივლისს, ტფილისში დაბრუნდა კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამ ბოლოს დროს მთავრობა შეუდგა კავკასიასა და ყირიმში ოსმალეთის თამბაქოს გაშენებას, იმის გამოსაცდელად, თუ როგორ იხეირებს ეს თამბაქო ყირიმსა და ჩვენს ქვეყანაში. ეხლა, როგორც გაზეთი „Новости“-ი იუწყება, ამ ცდას იმდენად ნაყოფიერი შედეგი ჰქონია, რომ მთავრობას განუზრახავს დააარსოს თამბაქოს ახალი სადგურები კავკასიასა და ყირიმის იმ ადგილებში, სადაც მეთამბაქოობას მისდევენ.

*** გაზ. „Сынъ От.“-ა იუწყება, რომ რუსეთის სამთო ინჟინერთა საზოგადოებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების განყოფილება კავკასიაშიაც იქმნას დაარსებული. განყოფილების დანიშნულება ის იქმნება, რომ ჩვენს ქვეყანაში მთა-მადნების წარმოების საქმის განვითარება-გაძლიერებას ხელი შეუწყოს.

*** ეს ორი კვირაა ტფილისში საშინელი სიცხეებია. უბედურებას ის აორკეცებს, რომ მალ-მალ ქალაქს წყალი აკლდება. 10 და 9 ივლისს, მაგალითად, ქალაქის ზოგიერთ ნაწილში სრულიად არ მოიპოვებოდა წყალი.

*** მრავალმა მემამულემ მიჰმართა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს და სთხოვა, რადგანაც ივნისში მოსულმა სეტყვამ ძალიან დაგვაზარალა, ბანკის ექსტრაორდინარის თანხიდგან შემწეობა აღმოგვიჩინეთო. ზედამხედველმა კომიტეტმა გორის მაზრაში 10 ივლისს თავისი წევრები ბ-ნნი გ. დ. ჟურული და პ. ი. ყიფიანი გაჰგზავნა

## ფელეტონი

### ზამთრის ღამე

(მოთხრობა ლარჯე შკოსი)

(შემდეგი *)

III

ამავე წამს უცბად კარები გაიღო და ქოხში შემოირბინა მაღალის ტანის ახალგაზდა ქალმა, მიაყუდა თინისტარი იქავე კარებთან და დაიძახა:

— გოგოებო, ბიჭები მოდიან! მართლაც ქუჩიდგან ფეხისა და სიცილის ხმა მოისმა...

მოისმოდა მარტო კაცების ხმა, ახალგაზდებმა ფანჯრებს და კედელს ჯოხებით კაკუნი დაუწყეს...

გოგოები მისცვივდნენ კარებს და ყვიროდნენ სიცილ-ხითხითით: ნუ შემოუშვებთ მაგათ, ნუო!

— ეს რაღა ჩვეულებაა, გამოესარჩლა ბიჭებს ბარბარე და წამოდგა გვერდიდგან. როგორ თუ სახლში ნუ შემოუშვებთ? აბა ერთი მითხარით, უმაგათოთ რა მხიარულება იქნება. რა, რისთვის უნდა გაჰყრნოთ გარეთ? და ანიკომ ორივე კარები გაუღო სტუმრებს: მობრძანდითო! შემოიპატიჟა.

ქოხში ოთხის ახალგაზდა ბიჭის ხმა მოისმა: „გამარჯობათ!.. სალამი სახლის უფროსს!“ ერთხმად წამოიძახეს იმათ და დაუკრეს თავი სიმონს, მაგრამ სიმონმა არა უპასუხა რა. სუყველამ იცოდა, რომ სიმონს მხიარულება უყვარდა ოჯახში .. ხან-და-ხან, თუმცა-კი იშვიათად, იმასაც გაიტაცებდა ხოლმე ახალგაზდობის სიცელქე. ამ ჟამად-კი ის ძალიან მოწყენილი იყო. შეიძლება ვერც-კი შეამჩნია ამათი შემოსვლა, იქნება არც სალამი გაუგონია. სიმონი შეეპყრო მძიმე ფიქრს, რომელიც გულზედ მძიმე ტვირთად დასწოლოდა. თავი დაეხარა, წარბები შეეკრიბა...

დატრიალდა ცეცხლა-პირას რამდენიმე თითის-ტარი, ამათ ხრიალს მოჰყვა ახალგაზდობის მხიარული და ხმა მაღალი ლაპარაკი. მგზავრი მოშორებით იჯდა, ქოხის ბოლოს, მარიამთან, რომელიც ძუძუს აწოვებდა ბავშვს.

— თქვენსას ხშირად არის მხიარულება? იკითხა მგზავრმა.

— ვმხიარულობთ ხოლმე.., უპასუხა პატარძალმა...

— დიდი ხანია, რაც ანტონსა ჰყევხართ?

— ოთხი წელიწადი იქნება.

— განა რამდენის წლისა ხარ?

— არ ვიცი, ვგონებ ოცი შემისრულდა.

— რა ბებერი ყოფილხარ! ჩაიცინა სტუმარმა, ბედნიერი ხარ?

— ბედნიერი! ღმერთმა ასე ბედნიერი მამყოფოს ყოველთვის.

— ანტონი კარგად გექცევა, ხომ არა გცემს?

პატარძალი გაწითლდა.

— ჯერ ეგ უბედურება არა მწვევია, ცუდი სიტყვაც-კი არ გამიგონია მაგისგან.

— უყვარხარ?

პასუხის მაგივრად მარომ ნაზად აკოცა შუბლზედ თავისს შვილს.

— პურიც ყოველთვისა გაქვთ?

— მადლობა ღმერთს, გვაქვს. ჯერ არ მახსოვს, რომ პური შემოგვკლებოდეს. ხანდახან სხვა რამე შემოგვკლებია, პური-კი არასოდეს.

— მეკასრე ბევრსა ჰშოულობს?

— სამდურავის თქმა ცოდვაა. ვერასა ჰშოულობს, მაგრამ ისა და იმისი შვილი იაკობი თევზაობენ და თევზს ქალაქში ჰყიდიან. პირველად მარტო თევზაობდა და აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც იაკობი დაჰყავს თანა.

— იაკობი? სთქვა ჩაფიქრებით სტუმარმა, ამოიოხრა და გაჩუმდა.

ამათ ლაპარაკის დროს ბუხართან მოგროვილიყვნენ ახალგაზდობა და თხილსა და მზე-უმწიფრის თესლს ამტვრევდნენ. ბიჭებს გოგოებისათვის ვაშლებიც მოეტანათ და ყველანი ერთად შეექცეოდნენ. ერთს ამ ოთხს ყმაწვილ ბიჭს შორის, რომელსაც ეგნატე ერქვა, ხმა ჰქონდა გავარდნილი გამოცანების ცოდნისა. აი სწორედ ამ ეგნატეს აუტყდნენ, გამოცანები გვითხარიო. ეგნატე ანეტას სკამთან იდგა და რაღასაც ეჩურჩულებოდა. რომ აღარ მოუსვენეს, ესეც დასთანხმდა, მაშ კარგი გეტყვით.

— გავიდა შუა ოთახში, ჩაახველა და დაიწყო:

„კრიჭი-კრიჭი კრიჭინასა, მკვდარი ცოცხალს იჭირავსა, ღმერთო, ჰკითხე კრიჭინასა, რა ტყუილად გვიჭირავსა.“

სუყველანი ჩაფიქრდნენ.

— რას ჩაფიქრდით? ვერ გამოიცანით? ბორკილია, ბორკილი! სთქვა სიცილით.

ჰოო! მართლა, მართლა! ერთ-ხმად წამოიძახეს სუყველამ.

— კრიჭინა ხომ ბორკილია! ბორკილი მკვდარია, მაგრამ ცოცხალს კაცს იჭერს. მართლაც რა კარგია! მკვდარი ცოცხალს იჭირავსა! კარგია კარგი!.. იმეორებდნენ სათითაოდ.

— ეგნატე, მე რატომ არ ჩამიჩურჩულე ყურში, რა იყო? მე ვიტყოდი, ვითომც და მე გამოვიცანი. უსაყვედურა ანიკომ.

— კარგი, კარგი! აი ახლავ მეორეს ვიტყვი: „ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო გიშერაო, ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო“.

გაათავა გამოცანა, გააგდო ხელიდგან თხილი, დასწვდა ვითომც თხილის ასაღებად და ანიკოს წასჩურჩულა: „თხილია“.

— თხილი, ცოტა ხნის შემდეგ წამოიძახა ანიკომ.

— ჰო, მართლა, თხილია! მოისმა ყოველ მხრიდგან. ყოჩაღ! ჰკვიანი გოგო ყოფილხარ!,. თუ ეგნატემ არ გითხრა? აი, მგონი გითხრა!

ანიკო ყაყაჩოსავით გაწითლდა და ეგნატეს შეხედა.

— არა, მე არ მითქვამსო. გამოესარჩლა ეგნატე.

ანიკომ გამოსარჩლებისათვის ეგნატეს გაუღიმა.

— აი კიდევ ერთი! წამოიძახა ეგნატემ:

„შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა“.

მოხუცმა ბარბარემ გაიცინა თავის უკბილო პირით და მუქარით თითი დაუქნია:

*) იხ. „ივერია“ № 144.

სეტყვისაგან მიყენებულ ზარალის გამოსარკვევად და იმისა, თუ ვის რა შემწეობა აღმოუჩინოს.

⁂ შაბათს, 10 ივლისს, „შუამავლის“ წევრთა კრება შესდგა. კრებაზედ დიდი ბაასი და ლაპარაკი გამოიწვია იმ საგანმა, თუ როგორ მოგვარდეს ამ ამხანაგობის გადუხ ჰირებული საქმე. დასასრულ კრებამ ამხანაგობის გამგეობის წევრებად ამოირჩია ბ ნნი კოლელიშვილი, ტარიელიშვილი და კვაჭაძე, ხოლო ბ-ნმა ვ. ალნიაშვილმა თავი დაანება სამსახურს. ამორჩეულ იქმნა აგრეთვე კომისია, რომელსაც მიენდო შეძლებულ წევრთა შოვნა „შუამავლის“ თანხის გასაძლიერებლადა და საქმის გასაფართოვებლად. ამ კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ ნნი ი. ალხაზიშვილი, ი. კოლელიშვილი, ს. ტარიელიშვილი, ე. ჩხარტიშვილი და ი. როსტომაშვილი. როგორც კრებაზედ გამოირკვა, „შუამავლის“ საქმე დიდად უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა.

⁂ დღეს ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: 1) შუამდგომლობა ტფილისის თვითმმართველობისა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას განაგრძოს ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა; 2) ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ მიეცეს ბუჰგალტრის თანაშემწეს მნაცაკან სკანდაროვს 275 მან.; 3) ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება 14 ივნისს იმის შესახებ, რომ დაჯარიმდეს მეეტლე გეურქა გალუსტოვი ხუთი მანეთით, რაც ერგებოდა, იმაზედ მეტი ფულის გადახდევინებისათვის; 4) ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ ბაჟი დაწესდეს კამეჩებზე, ხარებზე და სახედრებზე, რომლებითაც საქონელი გადააქვთ ტფილისში; 5) ქალაქის საბჭოს დაგენილება იმის შესახებ, რომ ბაჟი დაწესდეს იმ საქონელზედ, რომელსაც პატრონი საქალაქო ბაკში გააჩერებს; 6) დადგენილება ქალაქის საბჭოსი, რომ დასაფასებელ გარდასახადიდგან განთავისუფლებულ იქმნას გრიქუროვის მამული; 7) მოქალაქეთა საჩივარი, რომ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის მოხელენი კანონიერად არ არიან არჩეულნი; 8) თელავის ქალაქის რწმუნებულთა დადგენილება სასანიტარო მზრუნველთა არჩევნების შესახებ; 9) თელავისა, სიღნაღისა და დუშეთის ამ წლის ხარჯთ აღრიცხვათა განხილვა და სხ.

⁂ სახელმწიფო საბჭოს წევრის სტატს-სეკრეტრის განსვენებულ ბარონ ა. ნ. ნიკოლაის ცხედარი 10 ივლისს, საღამოთი, გამოასვენეს ლიუტერანთა კირკიდგან და კავკავის გზით ფინლიანდიაში წაასვენეს. კუბოს ქალაქის განაპირამდე მიჰყვებოდნენ, ნათესავთა გარდა, გენერლები, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეები და დიდძალი ხალხი.

⁂ ყარსის რკინის გზა სრულიად დამთავრებულია. პირველი სახალხო მატარებელი გავა ამ გზით ტფილისიდგან 14 ივლისს ღამის 12 საათ. 15 წ., მივა ყარსში 15 ივლისს დილის 11 საათ. 30 წ., ეს მატარებელი დაბრუნდება ყარსიდგან 15 ივლისს ღამის 11 საათზედ, მოვა ტფილისში 16 ივლისს დილის 11 საათ. 30 წ.

⁂ ამ რამდენისამე ხნის წინად ამიერ-კავკასიაში მეურნეობის დეპარტამენტის განყოფილების უფროსი თავ. ვ. ი. მესალსკი იყო იმის შესასწავლად, თუ ჩაის მოყვანა მოვლის საქმე ჩვენში როგორ არის დაყენებული. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, თავ. მასალსკის აზრით, ამ მცენარის გასავრცელებლად ამიერ-კავკასიაში შემდეგი ზომების მიღებაა საჭირო: 1, კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას უნდა გამოსცადონ რამდენად იხეირებს ჩაი, რისთვისაც გამართულ უნდა იქმნას ჩაის მცენარის სანერგეები; 2, უნდა დაურიგდეს მცხოვრებთ შეღავათით ჩაის მცენარის ნერგები; 3, გამოცემულ უნდა იქმნას დარიგებანი ჩაის მოვლა-მოყვანის შესახებ: 4, დაურიგდეს მსურველთ მიწის პატარ-პატარა ნაჰრეები ჩაის მცენარის მოსახეირებლად და ჩაის ფაქტორიების გასამართავად; 5, შემოტანის გადასახადი არ უნდა გამოერთვას იმ მანქანებსა და საჭირო ნივთებს, რომლებსაც ჩაის წარმოებისათვის საზღვარ-გარეთიდგან გამოიწერენ, 6, სამელიორაციო კრედიტით სარგებლობის ნება უნდა მიეცეთ იმათ, ვინც ჩაის პლანტაციების გაშენებას მიჰყოფს ხელს. მიწად მოქმედების სამინისტროს, გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვს ზოგიერთ ამ ჩამოთვლილ ზომათა განხორციელებას ახლო მომავალში შეუდგეს.

⁂ „კავკასის“ სიტყვით, დუშეთის ქალაქის მამასახლისს უცნობებია ტფილისის გუბერნატორისათვის, რომ 8 ივლისს ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვა მოვიდა დუშეთში, რომელმაც დაამტვრია სახლების კრამიტის სახურავი, ფანჯრები, გააფუჭა ხეხილები და ვენახებიო და სხ. ამორჩეულ კაცების ანგარიშით, სეტყვამ 12 ათას მანეთის ზარალი მისცა დუშეღის მცხოვრებთაო.

ამის გამო, ბ-ნს მამასახლისს უთხოვია გუბერნატორისათვის, რომ რადგან დუშეთი იმდენად ღარიბი ქალაქია, რომ არავითარი ღონისძიება არ აქვს დაეხმაროს სეტყვისაგან დაზარალებულებს, გვიშუამდგომლეთ ეპატიოს დუშეთს წინანდელი დარჩენილი გადასახადი, რომელიც 1,125 მ. 80 კაპ. შეადგენსო.

⁂ ს. განა, (გურია). ფერისცვალობა დღეს ჩვენში ყოველ წლობით დიდი წვეულება იმართება, და, რაღა თქმა უნდა, სოფელს ამის გამო უსარგებლო ხარჯი მოსდის. წვეულებისა და დროს ტარების წინაამდეგნი არა ვართ ჩვენ, მაგრამ როცა არც სკოლაა ჩვენს სოფელში და გზებიც ნამეტანი უვარგისია, გონიერება მოითხოვს, ჯერ ეს უპირველესი საჭიროებანი დავიკმაყოფილოთ და შემდეგ ისეთ საგნების შესახებ ვიფიქროთ, როგორაც წვეულებების გამართვაა. ამის გამო გარდავწყვიტეთ, მოვსპოთ ჩვენში ფერისცვალობის წვეულება და რაც ამ დღეს ხარჯი სჭირდება, ის სკოლასა და სხვა პირველ საჭიროების საქმეს მოვახმაროთ.

⁂ ს. ახუთი, (ზუგდიდის მაზრა). ამ სოფელს აწუხებს უგზოობა და ეს დიდ დაბრკოლებას აძლევს მცხოვრებლებს. გზის გაჭრის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი განკარგულება არ არსებობს. ახუთიდან სოფელ ნაქალაქევის გზა-ტკეცილამდეა გზა გასაჭრელი და ეს დიდს მანძილს არ შეადგენს. ზაფხულში კიდევ მადლობა ღმერთს, — მაგრამ ზამთარში სწორეთ ჯოჯოხეთის გზას მოგაგონებს ეს გზა: არც ურმით, არც ცხენით გავლა არ შეგიძლიანთ. მთელი ზამთარი სახლში უნდა იჯდეთ და უცადოთ ზაფხულის მოსვლას. ს. ახუთში არსებობს ბაზარი „სამღებრო“. აქაური მოვაჭრენი ძალიან მეცადინე ხალხია; მათის მეცადინეობით აქ დაარსდა ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომლის შესანახად ყოველ წლობით 1,500 მანეთი შეგვაქვს ხაზინაში. უნდა სიმართლე ვთქვათ, რომ პატივცემულნი მოვაჭრენი დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ყოველ კეთილ საქმეს, მათის მეცადინეობით აქ მალე დაარსდება საქალებო სკოლაც. ერთი სიტყვით, ახუთი ჩქარა დაწინაურდება, თუ ხელის შემწყობი ეყოლა ვინმე. უპირველეს ყოვლისა საჭიროა აქ დასახელებულის გზის გაყვანა, ურომლისობაც დიდად შეაფერხებს მცხოვრებლების წარმატების საქმეს.

⁂ ს. სეფიეთი, (სენაკის მაზრა). ამ სოფელში მოდებულია ყვავილი. სოფელი თითქმის სანახევროდ გადახიზნულია ყვავილის შიშით. ამ ორის თვის განმავლობაში თხუთმეტი ადამიანა იმსხვერპლა სენმა. ამას წინათ მამასახლისმა გამოუცხადა საზოგადოებას, რომ რადგან ქონებრივად დაცემულია ჩვენი სოფელი და მკურნალის დაქირავება აღარ შეგვიძლიან, თითოეულმა კომლმა გამოვიღოთ ფუთი სიმინდი და მე ვიშოვნი ფერშალს მაინც, რომელიც ამ მცირე სასყიდლით წლის განმავლობაში კვირაში ერთხელ მოვა, შემწეობას მოგვცემს სენის წინააღმდეგო. ბევრმა თანხმობა გამოუცხადა და უმეტესმა ნაწილმა კი უარი. ამის გამო ეს სიტყვები სიტყვებად დარჩა და არავინ ყურს არ იბერტყავს. ჩვენში მოსავალს კარგი პირი უჩანდა ალაგალაგ, მაგრამ გვალვამ იმედი მოგვიშპო. აქამდის ღამღამობით ნამი იყო და დღე კარგი დარი, ეხლა-კი უფრო უმატა გვალვამ.

⁂ 10 ივლისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს და ქალაქის ინჟინერს შეიმუშაონ ქალაქიდგან ნაგავისა და სხვა უსუფთაობის გატანის წეს-რიგი. ამასთან ქალაქის გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ სანამ ნაგავისა და უსუფთაობის გატანის საქმეს მოაწყობდეს, ნება დაერთოს ეს ნაგავი მტკვარში გადააყრევინოს ხალხმა,

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, აბასთუმანში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების დირექტორი ნ. ს. მირზოევი.

⁂ შაბათს, 10 ივლისს, ველიამინის ქუჩაზედ, აისორმა იანოვმა დანით დასჭრა ვერა პოლონსკაია, რომელსაც, როგორც ვუწყით, მევახშეობისათვის სასამართლომ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა. იანოვი სასა-

— აი შე საძაგელო, შენა! ეგ გამოცანა ვინ არ იცის: „რწყილია“!

მგზავრი იჯდა მაროსთან, ისიც ყურს უგდებდა გამოცანებს, ისიც გაამხიარულა სიცოცხლით სავსე ახალგაზდობამ, იმათმა მხიარულობამ დიდი ხნის დაძინებული, უდარდელი და უზრუნველი წარსული გაუღვიძა. ერთ დროს ესეც ჰხარობდა...

— შენ რატო არ იღებ მონაწილეობას იმათს მხიარულობაში? ჩაეკითხა სტუმარი მაროს.

— უჩემოდაც კარგა ჰმხიარულობენ!

— ახლა არ მეუბნებოდი, კმაყოფილი ვარ ჩემის ბედისაო. მაშ აგრე უცბად რამ მოგაწყინა? იქნება მაზლს ვერ შეეთვისე?...

— უი, არა!.. მაზლიცა და სუყველაც მე კარგად მეპყრობიან.., მხოლოდ ჩემი მიხა ვერ დამივიწყებია...

— ვინ მიხა?

— შვილი! აკანკალებულის ხმით სთქვა პატარძალმა. ამ ექვსის კვირის წინად მომიკვდა ჩემი უფროსი შვილი. რა ბიჭი, მერე! დადიოდა, ლაპარაკობდა; ჭკუიანი და მშვენიერი იყო. სუყველანი ვტიროდით... აი ჩემი მამამთილი ხომ ამისთანა მაგარის ხასიათისაა და ესეც-კი სტიროდა... ეხლა-კი სუყველას დაავიწყდათ!.. მშობელ-მამასაც-კი აღარ ახსოვს. მხოლოდ მე არ შემიძლიან მისი დავიწყება... და დედას ალისფერ ლაწვებზედ ცრემლები წამოსცვივდა... — სუყველას დაავიწყდათ! ოჰ, ოჰ, ოჰ! ამოიოხრა ნელა სტუმარმა.

პატარძალმა უცბად ყურები აცქვიტა, თვალებმა გაუცინა და უთხრა სტუმარს:

— ყური დაუგდოთ, ყური! დიდი დედა ზღაპრის თქმას აპირებს... საშინელი ნაღვლიანი ზღაპრები იცის!

მართლაც, მოხუცმა ბარბარემ მიაჩოჩა თავისი გეჯა ბუხართან ახლოს, მიუმატა ცეცხლს ფიჩხი და დაიწყო:

— იყო და არა იყო-რა, იყო სამი ძმა: ორი ჭკვიანი და ერთი სულელი. მამამ ჰკითხა ერთხელ შვილებს: „შვილებო, რომელს შეგრთოთ უწინ ცოლიო“? უფროსმა უპასუხა: „რასაკვირველია, მე. — მე ვარ უფროსი“. მეორემ უთხრა: „მე შემრთე, მამაჩემო, ცოლი, მეც დრო მაქვს ცოლის შერთვისაო“. „ჩემთვის უფრო დიდი ხანია, რომ დროა“! წამოიძახა სულელმა.

— „კარგიო! გადასწყვიტა მამამ: მაშ წადით ტყეში და ვინც თქვენგანში პირველი მომიტანს ერთს სავსე კალათს მაყვალს, უწინ იმას შევრთავ ცოლს“.

წავიდნენ ძმები ტყეში, ჭკვიანებმა იარეს-იარეს... არ იქნა და ვერა ჰნახეს მაყვალი! თითქმის შუადღემ მოატანა და ნახევარი კალათა ძლივს მოჰკრიფეს. შეხვდნენ სულელს..

— „აბა, სულელო, მოჰკრიფე მაყვალი“!

— მოვკრიფე, სახლში მივდივარ.

ჭკვიანებს შეშურდათ. მოჰკლეს სულელი, საცოდავს შიგ გულში დასცეს დანა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო! წამოიძახეს გოგოებმა.

— აი შე, ბებერო!... გოგოები შეგვიშინე!.. მაინც და მაინც უნდა მოჰკლა ვინმე! დასცინოდნენ ბიჭები ბარბარეს.

— რა ვქნა? ზღაპარს ხომ ვერას გამოვაკლებ! ასეა ნათქვამი, უპასუხა მოხუცმა.... მოჰკლეს: დანა შიგ გულში დასცეს, მერე თვალებზედ ნატეხრები დააფარეს და ქვიშაში წაფლეს, იმ ალაგას, სადაც დამარხეს, ჯვრის მაგივრად, ალუბლის ხე დარგეს და წავიდნენ სახლში.

ბევრმა დრომ გაირა, თუ ცოტამ... ერთხელ ამ საფლავის მახლობლად გამოიარა მგზავრმა, დაინახა ალუბლის ხე, მოსჭრა ტოტი და გააკეთა სალამური. მოდის გზაზედ და უკრავს..... სალამური, თავისით ჰკვნესის სიტყვებს: „თავი დამანებე, მგზავრო, ნუ უკრავ, ნუ მაღვიძებ უბედურს: ძმებმა მომკლეს, თვალებზედ ნატეხარი დამაფარეს, მიწაში წამფლეს და ჯვრის მაგივრად ალუბლის ხე დარგეს ჩემს გულზედ“. გაოცდა მგზავრი, სალამური კი თავისას არ იშლიდა: „ნუ უკრავ, ნუ მაღვიძებ!“ მოვიდა ეს მგზავრი გლეხი იმ სოფელში, სადაც ამ სულელის მამა და ძმები ცხოვრობდნენ. მოასწრო ღამემ, რა ჰქნას? მივიდა ამათთან და სთხოვა ღამე გამათევინეთო. ნება მისცეს. მგზავრმა ცხენი დააბინავა, ქოხში შევიდა და ეუბნება სახლის პატრონს:

— მოვდიოდი გზად ტყეში, ვნახე ალუბლის ხე და ერთი ლამაზი, სწორი ტოტი მოვჭერი, იმ ტოტიდგან სალამური გავაკეთე, და აი, ნახე, რა საოცარი რამ არის. ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია, რომ სალამური თავის თავად ლაპარაკობდეს... ნეტავი გაგაგონა, რა სიტყვებს ამბობს! აბა, შენ თითონ სცადე და დაუკარი, უთხრა მასპინძელსა.

აიღო სახლის პატრონმა სალამური და როგორც-კი ტუჩებთან მიიტანა, სალამურმა დაუკრა: მამა ჩემო, ნუ უკრავ, შეიბრალე შენი საბრალო შვილი, მე ძმებმა მომკლეს..

გაოცდა მოხუცი, მისცა სალამური შვილს და უბრძანა:

— აბა დაუკარიო.

როგორც კი მიიტანა უფროსმა ძმამ სალამური ტუჩებთან, სალამურმა დაუკრა: ბოროტო ძმავ, ნუ უკრავ, შემიბრალე საწყალი, თქვენ მომკალით...

სუყველანი მიხვდნენ, რომ ჭკვიანების მოკლული იყო სულელი. წავიდნენ სასაფლაოზედ, გადაჰქექეს ყველაფერი და ისე დახვდათ, როგორც სალამური ამბობდა: იწვა საფლავში სულელი, დანა შიგ გულში ჰქონდა და თვალებზედ ნატეხარი ეფარა...

მიიწვიეს მღვდელი, გარდაუხადეს წესი და გულზედ ჯვარი დაადგეს, ბოროტი ძმები-კი დაჰსაჯეს...

გაჩუმდა ბარბარე... ქოხში საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ხან ერთისა და ხან მეორე გოგოს ოხვრა ისმოდა. მარტო ყოველთვის მხიარულს ანტონზედ არ უმოქმედნია ამ ზღაპარს, მარტო ის არ მიეცა საერთო მოწყენას.

ნ. მღვდლისშვილისა

(დასასრული იქნება)

მართლოში საქმის გარჩევის დროს მოწმედ ყოფილა დაბარებული. 10 ივლისს პოლონსკაია და ის ქუჩაში შეხვედრიან ერთმანეთს, პოლონსკაიას საყვედური დაუწყია, სასამართლოში ჩემს წინააღმდეგ რად ილაპარაკეო. ლაპარაკს შეჰყოლიან და ბოლოს ლაპარაკი ჩხუბადაც გარდაქცეულა. ამ დროს იანოვს ამოუძვრია დანა და ორჯელ დაუჰრია ქალი გულსა და მუცელში. როდესაც პოლონსკაიამ ყვირილი დაიწყო, ხალხი მისცვივდა იანოვს, დაიჭირა და ცემა დაუწყო. ბოლოს პოლიცია მოვიდა და იანოვი გაბრაზებულ ხალხს ხელიდგან გააგდებინა, დაჭრილი პოლონსკაია საავადმყოფოში გაგზავნეს.

** „კავკ."-ს ატყობინებენ, რომ ამ დღეებში ორმა უცნობმა თათარმა სოფ. უჯარმის მახლობლად მოიწადინეს თავს დასცემოდნენ ტფილისიდგან თელავში მიმავალ ფოსტას, მაგრამ ფოსტალიონის ჰელაძისას და ჩაფრის ჰორიევის წყალობით თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანესო.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜ

თელავიდგან ასე შვიდის ვერსტის მანძილზედ, მოგეხსენებათ, შუა მთის მონასტერი მდებარეობს, გათქმული თავისის შვენიერის ჰავითა და ცივის წყლებით. ამ მონასტრის ასე ორისა თუ სამის ვერსტის მანძილზედ, აღმოსავლეთით ხშირ და მიუვალ ტყეში, იმყოფება მონასტერი „ძველი შუა-მთა", რომელიც ეხლა გაუქმებულია. ეს მონასტერი შესდგება რამდენისამე ეკკლესიისაგან, რომელთა კედლებზედ ეხლაც ცხადად ეტყობა აქა-იქ მხატვრობა. მონასტერის უმეტესი ნაწილი დახურულია; მაგრამ დროთა-ბრუნვას თავისი დაღი დაუსვამს: ხავსით შემოსილ კედლებზედ ვეებერთელა ხეები გაზდილა, რომელთა ფესვებმა, ადვილად შესაძლებელია, როდისმე დააქციონ კედლები.

ეს კიდევ არაფერი. კედლებზედ, შიგნით თუ გარეთ, მრავალი წარწერაა. აქ მომსვლელთ ზოგიერთ ვაჟბატონებს ჭკუა-გონება უვარჯიშნიათ და მსხვილის ასოებით აღუნიშნავთ დრო აქ მოსვლისა და თავიანთი სახელი და გვარი მითომდა უკვდავ უყვიათ კედელზედ წარწერით!.. ასე გასინჯეთ, ზედ ღვთის-მშობლის და მთავარ ანგელოზის ხატებზედაც წაუწერიათ! განა ამაზედ მეტი უპატიურობა იქმნება წმიდა საგანთა მიმართ!?. ეკკლესიას ხის კარები ჰქონია, რომელიც აქამდის მთლად შენახულა, მხოლოდ ძირს-კი გდია. კარებს კარგად გარჩევით ხუცური ასოებით ზედ წარწერა აქვს. ეკკლესიის გალავანში მრავალი ქვევრია; ეს ქვევრები დღემდის შენახულა, მხოლოდ წვიმის წყლით არის სავსე. საკვირველია ერთი ქვევრი, რომელსაც შიგ წიფლის ხის ფუღუროში აქვს პირი. ეტყობა ეს ას წლოვანი ხე მაშინ ამოსულა, როცა ქვევრი უკვე მიწაში იყო ჩაფლული.

ტრ. ინასარიძე

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

სასულიერო უწყებამ ეპარქიებში განკარგულება მოახდინა, რომ მათ შეადგინონ ხოლმე საისტორიო სასტატისტიკო აღწერილობანი ცალკე მრევლებისა, ეკკლესიათა და მონასტერთა. ეს აღწერილებანი ყველა მრევლში ადგილობრივმა მღვდელმა უნდა შეადგინოს; მათ დაეგზავნებათ უკვე შედგენილი პროგრამები, სადაც კითხვები იქმნება დასმული ეკკლესიებისა, მრევლისა, კრებულისა, სკოლებისა, საქველ-მოქმედო დაწესებულებათა, სასაფლაოთა და სხვათა შესახებ, და ამ კითხვებზედ მღვდლებმა პასუხი უნდა ჩაუწერონ.

— შუამდგომლობაა აღძრული უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ რკინის გზებზედ მოსამსახურე ფერშლების მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქმნას და გარდა ამისა იმის შესახებაც, რომ მათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოს.

— როგორც „С. О."-ა იუწყება, ამ წლის შემოდგომაზედ პეტერბურგში განსაკუთრებული კურსები იქმნება იმათთვის დაარსებული, ვისაცა სურს შეისწავლოს ის, თუ როგორ უნდა უსინათლოთ მოვლა-პატრონობა და წერა კითხვისა და სხვა-და-სხვა ხელობის სწავლება. კურსებზედ ლექციებს საღამ-საღამოთი წაიკითხავენ.

— საერო განათლების სამინისტრომ მოხსენება შეიტანა სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ ხაზინიდგან 200,000 მანეთი იქმნას გადადებული რიგის პოლიტეხნიკუმის ლაბორატორიისათვის ახალის შენობის ასაგებად.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ-სამმართველოს შეუმუშავებია ახალი პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის, იმის თანაშემწის და 1 და მე 2 კლასის კანტორათა უფროსების დანიშვნის შესახებ. ახალის პროექტით ამ თანამდებობაზედ უეჭველად ისინი უნდა იქმნენ დანიშნული, ვისაც უმაღლესი სასწავლებელი აქვს გათავებული, უფრო პეტერბურგის ელექტრო-ტეხნიკური სასწავლებელი, და პირველ ხარისხის ტეხნიკოსის სახელი აქვს მოპოვებული. სატელეგრაფო მექანიკოსთა და ზედამხედველთა თანამდებობაზედ პროექტით შეიძლება დანიშნულ იქმნენ სლესრები და ხარატები, სულ ერთია, რა განათლებაც უნდა ჰქონდეთ მიღებული.

— უმაღლესს მთავრობის წინაშე ზოგიერთ საგუბერნიო ერობათ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ დააარსონ ხოლმე დაბალი სახელოსნო და შინა მრეწველობის სკოლები ისე-კი, რომ ყოველთვის შუამდგომლობის აღძრა არ მოუხდეთ ხოლმე ამის შესახებ სამოსწავლო უწყების წინაშე.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სახლის-პატრონთა და სადგომის დამქირავებელთათვის ნორმალურის კონტრაქტის შემუშავება. სადგომების გაქირავების დროს როგორც სახლის-პატრონთ, აგრეთვე დამქირავებელთ ამ კონტრაქტით უნდა იხელმძღვანელონ ხოლმე.

— საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების საპოლიციო დაწესებულებათ დაევალათ, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი გარდაიცვალა, დაუყოვნებლივ ეს ამბავი ამ სახელმწიფოს ელჩს აცნობონ ხოლმე.

— მთავრობამ შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, რომ სადგომების დამქირავებელთ განსაკუთრებული სადგომის გარდასახადი დაედოთ (квартирный налогъ) და ამ გარდასახადთა გამღებთ ნება მიეცეთ ქალაქის საქმეში მონაწილეობისა ისე, როგორც სახლის-პატრონებსა აქვთ. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოს განსახილველად ამ წლის შემოდგომაზედ გარდაეცემა.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.** გენერალმა გალიფემ განაცხადა მინისტრთა საბჭოში, რომ რენის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ ჩვენება უნდა ჩამოართვას კენე-დე-ბორეპერსო, მაგრამ მხოლოდ იმ საგნის შესახებ, რომლის გადაწყვეტაც მინდობილი აქვს მას საკასაციო სასამართლოს დადგენილების თანახმად. ეჭვს გარეშეა, რომ სამხედრო მინისტრმა იმ აზრით გამოაქვეყნა ეს ამბავი, რათა საყოველთაოდ უარ-ჰყოს გავრცელებული ხმები, ვითომც სამხედრო სასამართლოს უნდოდეს დრეიფუსის საქმე ხელ ახლა თავიდგანვე განიხილოს სავსებით, ასე რომ საკასაციო სასამართლოს მიერ შეკრებილი ცნობები სრულიადაც არ მიიღოს ანგარიშში. მინისტრის სიტყვებიდგანა სჩანს, რომ მთავრობის კომისარს გარდაწყვეტილი ჰქონია სასამართლომ მხოლოდ ერთი საგნის შესახებ იქონიოს მსჯელობა: დრეიფუსს გაუცია თუ არა ბორდეროში ჩამოთვლილი ქაღალდები, რომლის ავტორი დრეიფუსი-კი არ არის, არამედ ესტერგაზიაო? ამ რიგად, რადგან რენის სამხედრო სასამართლოს საქმე რთული არ ყოფილა, ყველანი იმ აზრისა არიან, რომ სასამართლოში კამათი დიდხანს არ გაგრძელდება და სასამართლოს განჩინებას იმაზედ ადრე გაიგებს საზოგადოება, ვიდრე ეს წინად ეგონათო.

— ვივიანს, რომელიც მას შემდეგ, რაც მილიერანმა მინისტრობა იკისრა გხდანდელს კაბინეტში, სოციალისტთა მეთაური გახდა დეპუტატთა პალატაში, 1 ივლისს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა კალდეკ რუსოსთან შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. ვივიანი უმტკიცებდა მინისტრ-პრეზიდენტს, რომ რადგან მილიერანმა მინისტრობა იკისრა, ამის გამო ბევრი სოციალისტი-დეპუტატი ჩამოშორდა მთავრობასო, მაგრამ იმათი მომხრეობაც საეჭვოა, რომელნიც ჯერ კიდევ მთავრობას მხარს აძლევენ, თუ სასტიკი ზომები არ იქმნა მიღებული რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგო. კალდეკ რუსომ უპასუხა, რომ მეცა და ჩემი ამხანაგებიც ენერგიულად ვიმოქმედებთ ამ საქმეში და ერთხელვე არჩეულს გზას არ გადაუხვევთ სამინისტროვო.

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ.** ვენის ქალაქის თვით-მართველობის ამომრჩეველთათვის კლერიკალ-ანტისემიტთა დასის მიერ შედგენილ პროექტის წინააღმდეგ მოძრაობა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა. ამ დღეებში ვენის ერთს უბანში კიდევ გაიმართა კრება, რომელსაც 6000 კაცამდე დაესწრო. მომეტებულ ნაწილად პროგრესიულ და დემოკრატიულ დასთა წევრებმა მიიღეს ამ კრებაზედ მონაწილეობა. რამდენიმე კაცმა წარმოსთქვა სიტყვა. ყოველთვის, როცა ორატორი ლიუგერს ახსენებდა, დარბაზში ყოველი მხრიდგან მოისმოდა „ტფუ!" დასასრულ რეზოლიუცია იქმნა მიღებული, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ლიუგერის საარჩევნო პროექტს მოქალაქეები და მუშები თავ-გამოდებით უნდა შეებრძოლონო. რეზოლიუცია ჰკიცხავს ქრისტიან-სოციალისტთა უმეტესობას, რომელმაც მხარი დაუჭირა კლერიკალურ პროექტს. მიტინგის გათავებისას ყველასაგან განმეორებით „ტფუ" მოისმა ლიუგერისადმი.

**ᲡᲔᲠᲑᲘᲐ.** „Polit. Cor."-ში ბელგრადიდგან გაგზავნილი ოფიციოზური წერილია დაბეჭდილი, რომელიც მილანის მოსაკლავად შეთქმულთა წინააღმდეგ გამოძიებას შეეხება. წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ ხსენებულ ბოროტ-მოქმედებას პოლიტიკური სარჩული უდევსო, და უარ-ჰყოფს იმ ხმებს, რომ სერბიის მთავრობამ ისარგებლა ამ შემთხვევით, რათა მიწასთან გაასწოროს რადიკალური დასიო. დატუსაღებულები არიან ის რადიკალებიო, — ნათქვამია წერილში, — რომელთა კავშირი შეთქმულობასთან საეჭვო არ არისო. ამავე წერილში ნათქვამია, რომ დამნაშავე კნიაჟევიჩი ჯერ არ იძლეოდა ჩვენებას კარგად, მაგრამ შემდეგ დაწვრილებით ილაპარაკა შეთქმულობის შესახებ, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას შეთქმულობაში, სად იკრიბებოდნენ და სხვ.

— ზოგიერთი გაზეთის სიტყვით, ბელგრადში აურებელი დეპუტაცია მისულა სერბიის სხვა-და-სხვა საზოგადოებიდგან, ქალაქებიდგან, სოფლებიდგან, მონასტრებიდგან და სხ. ისინი ულოცავენ თურმე მეფე ალექსანდრეს და მილანს მშვიდობით გადარჩენას განსაცდელისაგან. ზოგს მათგანს ისიც-კი უთქვამს თურმე, რომ საკმარისი არ არის მიღებული ღონისძიებანი და უფრო სასტიკი ზომები უნდა იხმაროს მთავრობამო. მეფეს განუცხადებია, რომ კონსტიტუცია საკმარს ღონისძიებას იძლევა დინასტიის დასაცველადო.

## ᲓᲐᲛᲐᲙᲕᲘᲠᲓᲐ

რომელნი მიედევნენ ტყუილსა, განცრუვდნენ და რომელნი მიედევნენ ჭეშმარიტებასა, განმართლდნენ.

პლატონ ფილოსოფ.

***

არა ცეცხლისა გამოკვრა სამოსელსა შესაძლებელ არს და არცა ცოდვისა შენდობა უნანელად.

საეკკლ. მუზ. № 153

***

გველი და გველაძუა კაცი მხოლოდ მით გაირჩევიან, რომ პირველი ხოხავს და მეორე-კი დადის.

ლასურიძე

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

მასსოვაში ამას წინად გარდაიცვალა დურგალი და აბაშეთის ნეგუსის იოანნეს დიპლომატად ნამყოფი ნარეტტი, ერთნაირად სახელგანთქმული როგორც აბაშეთსა, აგრეთვე იტალიაში. ეს ნარეტტი იტალიაში დურგლად იყო, ხოლო 1876 წელს აბაშეთში გარდასახლდა, სადაც მალე ნეგუსის იოანნეს ხუროთ-მოძღვრად იქმნა დანიშნული. უმთავრესი თანამდებობა ნარეტტისა ის იყო, რომ აბაშეთის მეფის სასახლეს ფანჯრებსა და კარებებს უკეთებდა. ამ საქმისთვის „ხუროთ-მოძღვარი" დაჯილდოვებულ იქმნა უმაღლესის ორდენებით. მოხერხებულმა იტალიელმა ნეგუსის სიყვარული და ნდობა იმდენად დაიმსახურა, რომ მან თავისს დიპლომატად დანიშნა და ხშირად მოსალაპარაკებლად ჰგზავნიდა ხოლმე სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ელჩებთან. ნარეტტიმ შეირთო აბაშელი ძალიან ლამაზი ქალი, ასე მიდიოდა ნარეტტის საქმე ნეგუსის იოანნეს დროს, ხოლო როდესაც ტახტზედ ნეგუსი მენელიკი ავიდა, ნარეტტის დიდების ვარსკვლავიც ჩაეშვა. მენელიკს შესძულდა ეს დიპლომატი და დურგალი და ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ხარისხი და თანამდებობა ჩამოართვა და აბაშეთიდგან განაძევა. ნარეტტი თავისს სამშობლოში იტალიაშივე დაბრუნდა. იქ, როგორც აბაშეთის კარგ მცოდნეს, ნარეტტის გარეშე საქმეთა სამინისტროში მშვენიერი ადგილი მისცეს.

***

ჩინეთში ერთს საათს არასოდეს არ ატარებენ. იქ ჩვეულებადა აქვთ მიღებული ორის საათის ხმარება, ერთი მარჯვენა ჯიბეში უდევთ, მეორე—მარცხენაში. ერთი გაზეთი მოგვითხრობს იმას, თუ როგორ წარმოსდგა ეს ჩვეულება. 1820 წელს ერთი შვეიცარიელი მესაათე ედუარდ ბოვენი, რომელსაც ლონდონში თავისს საკუთარი საათის მაღაზია ჰქონდა, ჩინეთში წასულა საათების გასასაღებლად. ჩინელებს საათი ძალიან მოეწონათ, ასე რომ ბოვანს მეტად ბევრი მუშტარი გამოსჩენია. მაგრამ რათა უფრო მალე გაესაღებინა თავისი საქონელი, მოხერხებული მესაათე ყველას ეუბნებოდა, ვისაც ნამდვილად დროს გაგება უნდა, იმას ერთი საათი არ ეყოფა, ორი საათი უნდა ჰქონდეს თან, ერთი მარჯვენა ჯიბეში, მეორე—მარცხენაშიო. ჩინელებმა დაიჯერეს ეს და მას შემდეგ ორ-ორი საათის ტარებას შეეჩვივნენო. თვით ჩინელები-კი სულ სხვას ამბობენ: ევროპიელნი მუდამ გვატყუებენო; რათა აქაც არ მოვეტყუებინეთ და ისეთი საათი არ მოეყიდათ, რომელიც დროს სწორედ არ უჩვენებს, ოთ-ორ საათს ვყიდულობთ. ეხლა შეგვიძლიან ერთის საათის შემწეობით მეორის სიმართლის გაგებაო.

***

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკის ერთის ტორპედის ქარხნის შეგირდს გამოუგონია ახალი ზარბაზანი, რომელიც ჩვეულებრივს იმითი სჯობიან, რომ უხმოა, კომლი არა აქვს და საშინელის ძლიერებით ისვრის ყუმბარას. ამას გარდა ზარბაზანი მეტად სუმბუქია, სულ 8 გირვანქას იწონის. ზარბაზანს ყუმბარა იმდენად შორს მიჰყავს, რომ 7 ვერსის მანძილზედ, მაგალითად, კაცის მოკვლა და საზოგადოდ დიდის ზარალის მიყენება შეუძლიან, შეერთებულის შტატის მთავრობამ 750 ათასი მანეთი შეაძლია თურმე ამ შეგირდს ამ ზარბაზნის მოდელისათვის, მაგრამ შეგირდს უარი შეუთვლია.

***

როგორც ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, ამას წინად იქ მიუყვანიათ ვინმე დალლა დეტელი, 42 წლის ქალი. ეს ქალი ძალიან ღვთის მორწმუნე ადამიანი ყოფილა თურმე, დღე-ღამეს განუწყვეტლივ ლოცვაში ატარებდა და მაინც თავი ცოდვიანი მიაჩნდა. ბოლოს იქამდის მისულა, რომ ხის დიდი ჯვარი გაუკეთებინებია, მიწაში ჩაუფლავს და ზედ თავისი თავი მიუკრავს. ამ ჭკუა შერყეულ ქალს მაშინ მიატანეს თურმე, როდესაც მარჯვენა ხელზედ ლურსმის დაკვრას აპირებდა, და კი ვერ ახერხებდა. ორსავე ფეხსა და მარცხენა ხელზედ კი უკვე დაეკრა ლურსმები და სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივლისი.

**ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ ᲓᲝᲜᲖᲔ.** 10 ივლისს, დილის $6^{1}/_{2}$ საათ., ნოვოროსიისკიდგან როსტოვზე გაიარეს: ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა, მემკვიდრე ხელმწიფემ, დიდმა მთავრებმა ალექსი ალექსანდრეს ძემ, ნიკოლოოზ მიხეილის ძემ, ალექსანდრე მიხეილის ძემ, დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ოლღა ალექსანდრეს ასულმა, ღვთივ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის ცხედრის შემდეგ. მატარებლებს მიჰყვება გზათა მინისტრი.

**ნოვოჩერკასკი.** დღეს, დილის 8 საათ. 40 წ., მოვიდა სამგლოვიარო მატარებელი მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის ცხედრით. რკინის გზის სადგურში არხიეპისკოპოსის ათანასეს მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. ხელმწიფე იმპერატრიცა ლოცულობდა ვაგონში განსვენებულ ცესარევიჩის კუბოსთან. პანაშვიდის შემდეგ, დამსწრეთ ნება მიეცათ ცესარევიჩის ნაშთისათვის თაყვანი ეცათ. ცესარევიჩის კუბოზედ მრავალი გვირგვინი დაადვეს, იმათ რიცხვში დონის ოლქის ჯარის, აზნაურობისა, ოლქის ქალაქებისა, მარიინსკის ინსტიტუტისა და სხ. მაგიერ.

**კონსტანტინეპოლი.** რუსის პოლკოვნიკი შოსტაკი 24 (12) ივლისს გამგეობას კრიტის მთავრობას გარდასცემს და, საბერძნეთის მეფის სურვილის თანხმად, ათინაში მივა, რათა მეფის წინაშე წარსდგეს.

**ცეტინიე.** მთავარმა ნიკოლოზმა უბოძა შაქირ-ფაშას დანიელის ორდენი პირველი ხარისხისა.

**ცეტინიე.** კნიაჟიჩი მირკო დიდის ამალით საზღვარზედ წავიდა დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის შესახვედრად. გუშინ დიდის მთავრის პატივსაცემლად დიდი სადილი იყო გამართული სასახლეში. მისი უმაღლესობა გაჩერდა ბინათ კნიაჟიჩ მირკოს სასახლეში. მთელს ქალაქში ბაირაღებია გამოფენილი. ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა დიდს მთავარს. მთავარი ნიკოლოოზ და დიდი მთავარი სამჯერ ეამბორენ ერთმანეთს.

**პარიჟი.** ლუბე ჰგზავნის პეტერბურგში მაიორს ლეგრანს, ცესარევიჩის კუბოზე ვერცხლის გვირგვინის დასადებად.

**ლონდონი.** პეკინიდგან დეპეშით აცნობებენ „Times“ ს, რომ აქ დაარსდგა რუსული სკოლა, რომელშიაც მხოლოდ რუსული ენა უნდა ასწავლონ და ჩინელები მოამზადონ გზებზედ სასამსახუროდ. სკოლას ჩინეთის მთავრობა ინახავსო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი 11-ს ღამით პეტერგოფიდგან წავიდა ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის ცხედრის შესახვედრად.

საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი სამოსწავლო ოლქების მზრუნველთადმი: „უმაღლესის სურვილის შესასრულებლად, სამოსწავლო ოლქების მზრუნველებთან და უმაღლეს სასწავლებლების უფროსებთან მოლაპარაკების შემდეგ, მე შესაძლოდ ვსცან სასჯელი შევუმსუბუქო წლევანდელ უწესოების ყველა მონაწილეს, გარდა რამდენიმესი, რომელთა დარჩენა უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის რიგიანად მსვლელობისათვის სავნებლად იქმნება ცნობილი და რომელნიც ამის გამო არც ერთს სასწავლებელში არ უნდა იქმნან მიღებულნი. ყველანი, დანარჩენები, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებიდგან იყვნენ დათხოვნილნი, ორ ჯგუფად უნდა გაიყოფებოდნენ: 1) ისინი, რომელთა მიღებაც იმავე სასწავლებელში შეიძლება ამა წლის აგვისტოში; თუ ადგილის რაოდენობის გამო სასწავლებელში ანუ სხვა რაიმე მოსაზრებისა ამ ჯგუფის სტუდენტები ყველანი თუ მიღებულ არ იქმნენ, მომავალ წლის იანვრიდგან მათი ჩარიცხვა შესაძლებელია, ანუ 1900 წლის მაისში ეგზამენზე მათი მიშვება, რათა გამოცდის შემდეგ სტუდენტთა რიცხვში იქმნან ჩაწერილი; 2) ისინი, რომელთა მიღება იმავე სასწავლებელში შეიძლება 1900 წლის აგვისტოში; ამათ რიცხვში შეიძლება მოჰყვნენ ისინიც, რომელნიც უწესოების დროს გამორიცხულ იქმნენ ისე, რომ არც ერთს სასწავლებელში შესვლის ნება არა ჰქონდათ, თუ გამოირკვევა, რომ იმათ ცუდი გავლენა არ ექნებათ თავიანთ ამხანაგებზე და სწავლის ნორმალურ მსვლელობაზე. გამორიცხულთა ჯგუფებად დაყოფა მომინდვია თქვენის უაღმატებულესობისათვის, სასწავლებელთა უფროსებთან და ადგილობრივ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ყველამ, ვისაც სურს, რომ მიღებულ იქმნან, თხოვნა უნდა გაჰგზავნონ იმ სასწავლებელში, საიდგანაც დათხოვნილნი არიან და უნდა ეცნობოთ, რომ თუ ხელ-ახლა მონაწილეობა მიიღეს უწესოებაში, გამოირიცხებიან ისე, რომ უფლება აღარ ექნებათ რომელსამე სასწავლებელში შესვლისა.

**სიმფეროპოლი.** საგუბერნიო საგანგებო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, სესხათ მიეცეს იმპერიის საკვებ თანხიდგან 1.809,535, მანეთი ხალხის გამოსაკვებად და თესლის შესაძენად. გარდაწყვეტილია გზების კეთებას შეუდგნენ, რათა სამუშაო უშოვონ ხალხს.

**ვაშინგტონი.** სამხედრო მინისტრად დანიშნულ იქმნა ელიჩუ-რუტი.

11 ივლისი.

**მილეროვო.** ნოვოჩერკასიდგან მოყოლებული თითოეულ ხუთ-ექვს ნაბიჯზე ცხენოსანი და ქვეითი ყაზახები იდგნენ. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა სამგლოვიარო მატარებლის გავლა მინდორში. ყაზახები მუშაობას თავს ანებებდნენ, მუხლს იხრიდნენ და მეტანიას აკეთებდნენ, ეთხოვებოდნენ-რა საყვარელ მემკვიდრე ცესარევიჩის ცხედარს, თავიანთ ატამანს. რკინის გზის სადგურებსა და მახლობელს სტანიცებში მთელი ხალხი იკრიბებოდა, სამღვდელოების მეთაურობით, და ბავშვები თავიანთ მასწავლებლების წინამძღოლობით, რათა გაეცილებინათ ცხედარი და გამოსთხოვებოდნენ მას.

**კაზლოვი.** ნაშუაღამევის პირველ საათზე „ლისკის“ სადგურზე მოვიდა სამგლოვიარო მატარებელი მემკვიდრე ცესარევიჩის ცხედრით. მატარებლის მოსვლის დროს დაერაზმა სათადარიგო ცხენოსან ჯარის მე-7 და მე-8 კადრი, თავიანთ უფროსებით და გენერალ განის წინამძღოლობით.

**ნიკიტინო.** კაზლოვიდგან რიაჟსკამდე გზაში აუარებელი ხალხი იდგა. ყურადღებას იპყრობდნენ გლეხის ქალები ეროვნულის ტანთსაცმელით. განსაკუთრებით დიდი ხალხი შეიკრიბა რიაჟსკის სადგურში.

**მოსკოვი.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში გამოცხადებულია, რომ სამგლოვიარო მატარებელი ცესარევიჩის ცხედრით მოვა ნიკოლოოზის გზაზედ საღამოს 9 საათზედო. საპატიო დარაჯად საიმპერატორო პავილიონთან დანიშნულია ეკატერინოსლავის ლეიბ-გრენადერის პოლკიდგანო. ცესარევიჩის კუბოზედ დადებული იქნება გვირგვინები რიაზანის გუბერნიის სამოქალაქო უწყებისა, რიაზანის ერობისა, რიაზანის საბჭოსი, ყაზანის საზოგადოების გზისა, ბრესტის გზის გამგეობისა, ფოთისა, ტფილისისა, ბათუმისა და რიაზანისა.

12 ივლისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, დაუხვდა და მატარებელს, რომლითაც მიასვენეს განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი, 11 ივლისს „კუსკოვო“-ს სადგურზედ, ინება, სამგლოვიარო მატარებელში გადაბრძანდა და მოსკოვში ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულთან და მათ უმაღლესობათთან ერთად მიბრძანდა.

**ბარცელონა.** გუშინ საღამოს, დღესასწაულის შემდეგ, რომელიც საფრანგეთის ზღვაოსანთა პატივსაცემლად იყო გამართული, უწესოებანი მოხდა. მემანიფესტაციენი ყვიროდნენ: „გაუმარჯოს თავისუფალ კატალონიასაო“. პოლიცია იძულებული იყო ხმლები ეშიშვლა. წესიერება დამყარებულია.

**პარიჟი.** „Aurore“ და „Matin“-ი ამბობენ, რომ რენნში დრეიფუსის საქმის განხილვა 7 აგვისტოს დაიწყობა ახ. სტ. და 10 დღეს გასტანსო.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცებულია ახალი წესი უავგუსტოეს გვარეულობის უმაღლესს სახელთა ასამაღლებელის თქმისა ღვთისმსახურების დროს: „უკეთილმორწმუნესისა, უთვითმპყრობელესისა, დიდებულისა ხელმწიფისა ჩვენისა, სრულიად რუსეთის იმპერატორისა ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა; მისის მეუღლისა, უკეთილმორწმუნესისა ხელმწიფე იმპერატრიცასი ალექსანდრა თეოდორეს ასულისა; დედისა მისისა, უკეთილმორწმუნესისა ხელმწიფე იმპერატრიცასი მარია თეოდორეს ასულისა; კეთილმსახურისა ხელმწიფე მემკვიდრისა და დიდის მთავრისა მიხეილ ალექსანდრეს ძისა და სრულიად სამეფო სახლობისა“.

**მოსკოვი.** სამგლოვიარო ეტლის მოახლოვებასათანავე საიმპერატორო ფარდულთან, სატახტო ქალაქის ყველა ზარების სამგლოვიარო რეკვა დაიწყო და არ შეჩერებულა, ვიდრე მატარებელი პეტერბურგისაკენ არ დაიძრა. ყველა ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი.

საიმპერატორო ფარდულში გარდახდილ პანაშვიდს დაესწრნენ წარჩინებულნი მოხელენი და კარისკაცნი, მობრძანდნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. სამგლოვიარო მატარებელი გაჩერდა საღამოს 9 საათსა და 5 წუთზედ; შიგ ჰბრძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული, მემკვიდრე და სხვანი მათნი უმაღლესობანი. ვაგონში შევიდა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და გამოვიდა ხელმწიფე იმპერატორთან ერთად. ხელმწიფე საპატიო-დარაჯის მიერ მისალმების შემდეგ, მის უმაღლესობასთანა და დიდ მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად შებრძანდა ვაგონში. იმ ვაგონის კარები, რომელშიაც ცესარევიჩის კუბო ესვენა, გააღეს. მიტროპოლიტმა პანაშვიდი გარდაიხადა. საღამოს 10 საათზედ სამგლოვიარო მატარებელი პეტერბურგს წავიდა.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი სინო ჰონიშვილის მაგიერად მაშო და გიორგი სალარიძეებს, რომელთაც 5 მანეთი გამომიგზავნეს ცეცხლისაგან დაზარალებულის ოჯახის აღსადგენად.

მ. წინამძღვრიშვილი

---

# განცხადებანი

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გავზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—3)

---

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში** — წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილა ში** — ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში** — მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში** — ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში** — თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

ნ. წერეთელი

(50—6.—2)

---

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-მდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.